ახალი ხარაგაული

№434 (9) 5 ივლისი, 2021 წ.

ხარაგაულის მერმა თათბირზე ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი მერის წარმომადგენლებს შეხვდა და ერთობლივ ფორმატში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. თათბირს ასევე მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, მოადგილე დავით დევდარიანი და მერის თანაშემწე ჟანა ნემსაძე ესწრებოდნენ. ძირითადი დრო დაეთმო მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებზეც სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა სოციალურ საკითხებზე და იმ საჭიროებებზე, რომლებიც სოფლად მცხოვრებლებს აქვთ.

კობა ლურსმანაშვილმა წარმომადგენლებს უფრო მეტი ინიციატივების გამოჩენისა და აქ-

ტიური მუშაობისაკენ მოუწოდა. „თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ უფლებებს ახორციელებთ. ამიტომ მოგიწოდებთ, მაქსიმალურად გულთან მიიტანოთ თითოეული ადამიანის პრობლემა და ერთად ვიზრუნოთ მათი გადაჭრის გზებზე. გააქტიურეთ სოციალური კუთხით მუშაობა და ვეცადოთ, ამ მიმართულებით სწორად დავსახოთ პრიორიტეტები“.-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ უახლოეს დღეებში ა(ა)იპ ,,ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ ნაგვის კონტეინერების ახალ პარტიას მიიღებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულებში საჭიროების მიხედვით გადანაწილდება.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საკითხზე ისაუბრა მერის პირველმა მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილმა და მერის წარმომადგენლებს სოფლებში არსებულ ქონებაზე ინფორმაციის მოძიება დაავალა.

,,ვმუშაობთ, რომ მუნიციპალური ქონება სრულად იყოს აღრიცხული. შემდგომ კი ქონების ნანილის, რომელიც გამოუსადეგარი იქნება, პრივატიზება მოხდეს. ველოდებით დამატებით ინფორმაციას სოფლებიდან, რათა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა სრულად შეივსოს,“ - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი სისტემატურად ხვდება ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს და აქტიურად ეცნობა სოფლებში მიმდინარე პროცესებს.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდა

ხარაგაულის მერიაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა. სხდომას ასევე ესწრებოდნენ მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და თანაშემწე ჟანა ნემსაძე. საბჭოს წევრებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს თავიანთი იდეები გააცნეს.

ხარაგაულის მერმა მზადყოფნა გამოთქვა, აქტიურად ითანამშრომლოს მრჩეველთა საბჭოსთან და მოსახლეობისათვის პრიორიტეტულ საკითხებზე სწრაფი რეაგირება მოხდეს.

,,მიმაჩნია, რომ მერის მრჩეველთა საბჭო უმნიშვნელოვანეს ორგანოს წარმოადგენს, რომელიც ძალიან კარგი მექანიზმია მოსახლეობის საჭიროებების ჩვენამდე მოსატანად. ვფიქრობ, ერთობლივად ბევრ სასიკეთო საკითხს გადავწყვეტთ, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის განვითარებას.“-აღნიშნა ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ დეტალურად ისაუბრა მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ. მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს ხარაგაულის 43 სოფელში გზები მოწესრიგდება, გარდა ამისა, თერმეტ ხიდს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, ამ მიმართულებით 7 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

მერიის სოციალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ. სხდომაზე აღინიშნა, რომ კობა ლურსმანაშვილის, უშუალო გადაწყვეტილებით, სოციალური მიმართულებით 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება და

ძირითადად აქცენტი კეთდება ისეთ ოჯახებზე, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და საბჭოს წევრებმა თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადეს ხარაგაულის მერს. თავის მხრივ, კობა ლურსმანაშვილმა მზაობა გამოთქვა შემდგომი ურთიერთობისათვის და ხაზგასმით განმარტა, რომ ის მზადაა ხელი შეუწყოს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კომუნიკაციას.

,,თქვენი ჩართულობა უმნიშვნელოვანესია როგორც სოციალური, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებით. გარდა ამისა, ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში მინდა, იყოთ აქტიურები და მოგვაწოდოთ წინადადებები, თუ რისი გაკეთება სურს მოსახლეობას. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, გვქონდეს პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც შედეგზე ორიენტირებული იქნება. ბ-ნ ვარლამ ჭიპაშვილი, რომელიც კურირებს საფინანსო სფეროს, მაღალი დონის პროფესიონალია და მჯერა, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტი პროგრესი გვექნება.“-დასძინა კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა.

ხარაგაულის მერიამ სოციალურ პროგრამებზე ექვს თვეში 393 866 ლარი დახარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია არაერთ მნიშვნელოვან სოციალურ პროგრამას ახორციელებს და ძირითადი აქცენტი იმ პრობლემური საკითხების მოგვარეყველაზე მეტად აწუხებს ბაზე კეთდება, რომლებიც მოსახლეობას. აქვე მოგახსენებთ, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე წლის ექვს თვეში 393 866 ლარი დაიხარჯა და, საერთო ჯამში, დახმარება 1785 მოქალაქეს გაეწია.

მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომლის საკურატორო სფეროდან ერთ-ერთი სოციალური მიმართულებაა, ამბობს, რომ სოციალური საკითხების მოგვარება მერიის საქმიანობაში პრიორიტეტულია. „ჩვენ მაქსიმალურად ვზრუნავთ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით მერიაში 23 ქვეპროგრამა მოქმედებს და მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. მერის, ბატონ კობა ლურსმანაშვილის, მხრიდან გვაქვს დავალება, რომ ნებისმიერ განცხადებაზე გვქონდეს დროული რეაგირება და მივიღოთ სამართლიანი გადაწყვეტილებები. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართული ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას განმცხადებლების სოციალური მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ საკრებულოსთან, განსაკუთრებით მაჟორიტარ დეპუტატებთან. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთი მოთხოვნა, რომელიც კომისიურ ფორმატში იხილება, უყურადღებოდ არ რჩება. კომისიის საქმიანობაში ჩართული არიან სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რათა მიღებული გადაწყვეტილებები იყოს ობიექტური და გამჭვირვალე. სხდომები არის საჯარო და ნებისმიერი ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია. ჩვენთვის ყველა ადამიანი თანასწორია, მადლიერი და კმაყოფილი მოსახლეობა კი მეტ მოტივაციას გვაძლევს.“ -ამბობს მერის პირველი მოადგილე.

ბატონი ვარლამი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურმა პანდემიის პერიოდში არაგეგმიური ღონისძიებები გაატარა, რომლის ფარგლებშიც არაერთმა პიროვნებამ მიიღო შესაბამისი დახმარება. ასევე მერის სარეზერვო ფონდიდან სოციალურ პროგრამებზე დამატებით გამოყოფილ იქნა 10 800 ლარი. აქედან 7 800 ლარი მიმართულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებაზე, ხოლო ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად - 3000 ლარი.

,,მოგახსენებთ, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება ცვლილება, რომლის თანახმადაც არა მხოლოდ სტიქიით დაზარალებულ პირთა დახმარება იქნება შესაძლებელი, არამედ პროგრამაში მძიმე პირობების ან სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მქონე ოჯახებიც ჩაერთვებიან. ასევე შესაძლებელი გახდება, განმეორებით გაეწიოს მატერიალური დახმარება იმ მოქალაქეებს, რომელთაც პირველ ჯერზე აღებული თანხა მიზნობრივად გამოიყენეს. კომისია იტოვებს უფლებამოსილებას, პრიორიტეტულად განიხილოს ის განცხადება, რომელსაც სხვა დამამძიმებელი გარემოებაც გააჩნია. ზემოხსენებული ქვეპროგრამის ფარგლებში, მესამე კატეგორიაზე 200-500 ლარამდეა განსაზღვრული, მეორეზე - 500-1000 ლარი. პირველი კატეგორიის შემთხვევაში დახმარების თანხა 1 500 ლარს შეადგენს, თუმცა საჭიროების დროს, მისი გაორმაგებაც ხდება. ასევე უზრუნველვყოფთ ეკომიგრანტი ოჯახების შესაბამის სამინისტროსთან კოორდინირებას,“ - განმარტავს ბ-ნ ვარლამი.

მერის პირველი მოადგილის ინფორმაციით, მიმდინარე წელს არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, გარდა მედიკამენტებისა, დაფინანსდა კოვიდის შემდგომი გართულების მკურნალობა. პროგრამის ფარგლებში ექვს წლამდე ასაკის ბავშვებმა სარეაბილიტაციო კურსი კურორტ ,,ნუნისში“ გაიარეს. მერია ასევე ახორციელებს შშმ პირთა დახმარებას, რაც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსს და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ისინი, რომლებიც საჭიროებენ მომვლელს, ყოველთვიურად იღებენ ფულად დახმარებას. ქვეპროგრამით ექვს თვეში 14 215 ლარი დაიხარჯა და 49 ბენეფიციარმა ისარგებლა. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 426 მოქალაქეს და, საერთო ჯამში, თანხამ 68 850 ათასი ლარი შეადგინა.

ხარაგაულის მერიამ მარჩენალდაკარგულთა დასახმარებლად მიმდინარე წლის ექვს თვეში 3 400 ლარი დახარჯა.

სადღესასწაულო ღონისძიებების დროს შეჭირვებულ მოქალაქეთა დასახმარებლად 24 000 ლარი გაიცა.

მოგახსენებთ, რომ ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. საანგარიშო პერიოდში გაიცა 18 650 ლარი და მოსარგებლეა 100-ზე მეტი მოქალაქე. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, მათზე 4000 ლარი დაიხარჯა.

სოციალურად დაუცველ და უპატრონო გარდაცვლილთა დახმარებისათვის 4 600 ლარი გაიცა. რაც შეეხება ლეიკემიით დაავადებულებს, დახმარებით ორი ბენეფიციარი სარგებლობს, ხოლო დიალიზზე მყოფი პირები ყოველთვიურად 150 ლარს იღებენ. აღნიშნულ პროგრამებზე 12 750 ლარია გაცემული.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება ხანდაზმულთა დახმარებაც, რომელიც ეხება 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეს, თითოეულზე 500 ლარია გათვალისწინებული.

სასიხარულოა, რომ ახალშობილთა ოჯახებზე 5 250 ლარი გაიცა, რომლითაც 47 ახალშობილის ოჯახმა ისარგებლა. მერია ბინის ქირით უზრუნველყოფს ხუთ მოქალაქეს და ამ თანხამ ექვს თვეში 2500 ლარი შეადგინა.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებმა ხარაგაულის მერიაში შეხვედრა გამართეს

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ექსპერტმა მამუკა გაჩეჩილაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერ კობა ლურსმანაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძესთან და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, რომლის მიზანი პროექტის - „გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი ლოკალიზაცია“ -გაცნობა გახლდათ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტის ფარგლებში, მერის წარმომადგენლების ჩართულობით, მოსახლეობის საჭიროებების კვლევები ჩატარდება, შემდეგ კი ამ დოკუმენტის საფუძველზე მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა.

ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს კვლევის დოკუმენტი, რომელშიც თითოეული სოფლის პრობლემები იქნება ასახული. ,,დარწმუნებული ვარ, მოსახლეობასთან უშუალოდ შეხვედრებისას კიდევ უფრო მეტ სიახლეს აღმოვაჩენთ და პრობლემურ საკითხებზე გვექნება დეტალური სურათი. ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, ყველაზე აქტუალური საკითხები გათვალისწინებულ იქნეს 2022 წლის ბიუჯეტში,“ - აცხადებს ხარაგაულის მერი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, მზადყოფნა გამოთქვა, რომ ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას. „მე, როგორც საკრებულოსა და ამავდროულად გენდერული საბჭოს თავმჯდომარე, მზად ვარ, აქტიურად ჩავერთო ამ მეტად საჭირო დოკუმენტის შედგენაში, რომელიც უფრო დეტალურად დაგვანახვებს, თუ რა საჭიროებები დგას სოფლებში და რა არის ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნა.“-აღნიშნა ქ-ნმა მანანამ.

მოგახსენებთ, რომ პროექტი „გენდერული პოლიტიკის ეფექტიანი ლოკალიზაცია“ საქართველოს მასშტაბით, ათ მუნიციპალიტეტში ხორციელდება და მისასალმებელია, რომ მათ შორის ხარაგაულიცაა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის ქვეჩ ქუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობას ადგილზე ეცნობა

სოფელ ვარძიის პირველ უბანში 2 კმ-იან მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 371 011 ლარია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძესთან ერთად, ვარძიაში გზის რეაბილიტაციის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

,,მიუხედავად გზის რთული რელიეფისა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების 60 % უკვე გაკეთებულია. ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ ამ პროცესს და ყველაზე მთავარია, მოსახლეობას დროულად და ხარისხიანად შესრულებული სამუშაოები ჩავაბაროთ.“-განაცხადა ხარაგაულის მერმა.

კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, ვარძიაში სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც განხორციელდება. ტენდერზე გატანილია 150 ათასი ლარის ღირებულების პროექტი, რომლის ფარგლებშიც სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

ამავე დღეს ხარაგაულის მერი იმყოფებოდა თეთრაწყაროში, სადაც გიორგიძეებისა და ვეფხვაძეების უბანში ბეტონის საფარი გზის 471 მეტრზე იგება. რაც შეეხება ლურსმანაშვილების უბანს, გზის რეაბილიტაცია 350 მეტრზე განხორციელდება. გარდა ამისა, დაგეგმილია 60 მეტრი სიგრძის საყრდენი კედლის გაკეთება, ასევე მოეწყობა სანიაღვრე არხები და ცხაურები.

თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების ფონდიდან 254 000 ლარით ფინანსდება. პროექტი გარდამავალია და ჯამში 354 ათასი ლარი დაიხარჯება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური მუშაობის შედეგად, 2018 -2019 წლებში შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტები განახლდა, საერთო ჯამში, ასეთი სულ ათი პროექტია, რომელთა უმრავლესობა დასრულების ეტაპზეა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის საჯარო ბიბლიოთეკა ცოდნისგამები ჩაუფუძნდათ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ა(ა)იპ-ებისა და პიარ-სამსახურის თანამშრომლებისათვის ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგზე, რომელსაც პროფესიული სწავლების ცენტრ „რედლაინის“ წარმომადგენელი თამარ ჩიბურდანიძე უძღვებოდა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა: „პერსონალური და ორგანიზაციული იმიჯის შექმნა,“ „საუბრის ხელოვნება, წარდგენა-პრეზენტაცია,“ „საზოგადოებასთან ურთიერთობა და სტრატეგიული დაგეგმარება“.

აღნიშნული თემატიკა მიზნად ისახავდა მსმენელებისთვის იმ ტექნოლოგიების ცოდნის გადაცემას, რისი საშუალებითაც ლიდერი შეძლებს ძლიერი სტრუქტურის იმიჯის შექმნას. ასევე საუბარი შეეხო იმ მნიშვნელოვან საკითხებს, თუ რა სტანდარტებს უნდა ემორჩილებოდეს ორგანიზაცია, რომ ჰქონდეს მყარი, ქმედითი და წარმატებული სახე საზოგადოებაში. შეხვედრაზე თამარ ჩიბურდანიძემ დამსწრე საზოგადოებას ეფექტური კომუნიკაციის რამდენიმე მოდულიც წარუდგინა.

ტრენინგი თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გაცნობას ითვალისწინებდა და, საერთო ჯამში, სამ ეტაპად განხორციელდა.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ბერძნიკონი ეფრემი (გივი ლომიძე) საქართველოს ისტორიაში პირველი ჰაბილიტირებული თეოლოგი გახდა

ქალაქ ვენის წმინდა ეფრემ ასურის სახელობის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრმა, თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბერდიაკონმა ეფრემმა (გივი ლომიძე) დაასრულა ვენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრაზე ჰაბილიტაცია, რომელიც ბოლო სამეცნიერო კვალიფიკაცია გახლავთ. ბერდიაკონ ეფრემს უკვე აქვს უფლება, ვენის უნივერსიტეტში თავად უხელმძღვანელოს დოქტორანტებს. საამაყოა, რომ საქართველოს შემთხვევაში ეს პირველი მოვლენა გახლავთ, რადგან ღვთისმეტყველების დარგში დღემდე ჰაბილიტირებული თეოლოგი არ გვყავდა. ჰაბილიტაციის თემა მოიცავს 604 გვერდს გერმანულ ენაზე სათაურით: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის ისტორიულ-საღვთისმეტყველო რეკონსტრუქცია. საკითხი ანტიოქიურ-პეტრესეული მემკვიდრეობის ტრადიციის შესახებ მეთორმეტე საუკუნემდე არსებული წყაროების მიხედვით“.

ნაშრომი უახლოეს მომავალში დაიბეჭდება წიგნის სახით. იგეგმება ასევე მისი ქართულად და ინგლისურად თარგმნა.

ვულოცავთ ჩვენს საამაყო თანამემამულეს საქართველოს ისტორიაში პირველი ჰაბილიტირებული თეოლოგის წოდებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კვლავ წარმატებულ სვლას არჩეულ გზაზე.

ეკა შავიძე

ჩემი დეპუტატობის პერიოდში ხიდარში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა

ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულს მუნიციპალიტეტის საკრებულოში უკვე მეორედ ნონა ზურაბიანი წარმოადგენს. რა გაკეთდა თემში მისი დეპუტატობის პერიოდში და რა იგეგმება სამომავლოდ ამის შესახებ დეპუტატს პირადად ვესაუბრეთ.

-რვა წელია, ხიდრის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ და მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემი საქმიანობა იყოს ნაყოფიერი და წარმატებული. სოფლისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას მხარს ყოველთვის სიფრთხილითა და დიდი სიყვარულით ვუჭერ. ხიდარში ადგილობრივ გუნდთან მაქვს კოორდინირებული თანამშრომლობა და სწორედ ურთიერთპატივისცემითა და გვერდით დგომით საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა სოფლისთვის. ყოველთვის გვაქვს მხარდაჭერა ცენტრალური ხელისუფლების, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებიდან.

მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ხიდარში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებზე, უდიდესი წვლილი მიუძღვის ხარაგაულის მერს ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სოფელში ცენტრალურ გზაზე დაიგო ასფალტის საფარი, აშენდა თანამედროვე და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი საბავშვო ბაღი და დაწყებითი სკოლა, გარემონტდა სამედიცინო პუნქტის ოთახები და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, აიგო და კეთილმოეწყო სარიტუალო დარბაზი, რეაბილიტირდა და დარბაზთან მისასვლელი და მასხარაშვილების უბანში გადასასვლელი ხიდ-ბოგირი. ასევე, მდინარე ბორიმელაზე გადასასვლელ ხიდს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. რამდენიმე უბანში მოეწყო წყლის სისტემა და გზის დამცავი გაბიონები.

სოფელში შიდა საუბნო გზები საჭიროებს შეკეთებას, რომელსაც ეტაპობრივად ვახორციელებთ. ამჯერად მობეტონებულია ჯორტების საუბნო, სკოლამდე და წმინდა გიორგის ტაძრამდე მისასვლელი გზები. ყოველწლიურად, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხდება გზების გასწორება და მოხრეშვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს შარიქაძეების, მასხარაშვილების, აბანოს, გურგენიძეების, ხეცაძეებისა და გელაშვილების უბნების გზები დაიხრეშება.

მოსახლეობის მოთხოვნით, მოხდა სოფლიდან მთისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, რომელზეც დიდი შრომა გაწიეს ადგილობრივებმა. მერიისა და საკრებულოს დახმარებით, ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა იქ მცხოვრები ოჯახებისთვის.

გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრია და ის პრობლემური საკითხები, რომლებიც მწვავედ დგას სოფელში, აუცილებლად მოგვარდება. სისტემატურად ვხვდები მოსახლეობას, ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვუწევ დახმარებას.

-როგორია ადგილობრივთა სოციალური მდგომარეობა?

-ხიდარში საკმაოდ მშრომელი ხალხი ცხოვრობს და მათგან უმრავლესობა დაკავებულია სოფლის მეურნეობით. შეჭირვებულ ოჯახებს აქვთ სოციალური დახმარება. სოფელში არის სკოლა, ბაღი, ამბულატორია, სადაც დასაქმებულია ადგილობრივი კადრები. გარდა ამისა, მოსახლეობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამებით სარგებლობს. მომართვიანობა საკმაოდ მაღალია, თუმცა უყურადღებოდ არავინ რჩება და შეძლებისდაგვარად ხდება განცხადებების დაკმაყოფილება.

აქვე მინდა დავამატო, რომ კოვიდპანდემიის პერიოდში შეჭირვებულ ოჯახებს ხარაგაულის მერია სისტემატურად ამარაგებდა საკვები პროდუქტებით.

-როგორ შეაჯამებდით თქვენს შვიდწლიან მუშაობას მაჟორიტარი დეპუტატის რანგში?

- რთული გზა ავირჩიე, მაგრამ ვთვლი, რომ ეს იყო საინტერესო და ნაყოფიერი შვიდი წელი. ვფიქრობ, გარკვეული წვლილი შევიტანე ხიდრის ადმინისტრაციული ერთეულის განვითარებაში. მეამაყება, რომ სწორედ ჩემი დეპუტატობის პერიოდში სოფელში გაკეთდა ბევრი კარგი საქმე და, ამავდროულად, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ წლების განმავლობაში მაქსიმალურად ვიდექი ჩემი ამომრჩევლის გვერდით და, კომპეტენციის ფარგლებში, დახმარებას ვუწევდი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მამხნევებდნენ და სტიმულს მაძლევდნენ, უფრო მეტი გამეკეთებინა იმ სოფლისათვის, რომელიც მართლაც განსაკუთრებულად მიყვარს. აქვე მინდა პატივისცემა გამოვხატო საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ნებისმიერ საკითხზე გვერდით მედგნენ. ვფიქრობ, ერთობლივი ძალებით ბევრი კარგის გაკეთება შევძელით და ეს ტემპი სამომავლოდ აუცილებლად გაგრძელდება.

თამარ მაღრაძე

ვაქცინაციის პროცესი მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს

ხარაგაულში კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია ინტენსიურად მიმდინარეობს და ამ დროისათვის ვაქცინირებული 494 პირია. როგორც ჩვენთან საუბარში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე აღნიშნავს, აცრები ორ ლოკაციაზე - ხარაგაულისა და ბორითის კლინიკებში - ხორციელდება და რაიმე სახის გართულებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ბოლო სტატისტიკას, შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაციით, მდგომარეობა მუნიციპალიტეტში დასტაბილურდა და ამ დროისათვის დაინფიცირებულთა რაოდენობაა 687. აქედან გამოჯანმრთელებულია 658, სტაციონარულ მკურნალობას გადის 2, თვითიზოლაციაში იმყოფება 15 და გარდაცვლილია 16 პირი.

,,თუ გვინდა, რომ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდეთ, ვაქცინაციის პროცესი უნდა დაჩქარდეს. კარგი იქნება, თუ მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოსახლეობის 60% ორჯერადად აცრილი იქნება. ვფიქრობ, ამ პროცესში ოჯახის ექიმებიც უნდა ჩაერთონ. ამჯერად, შემდგომი გართულების გამო, ისინი თავს იკავებენ, მაგრამ როგორც ვიცით, „სინოვაკისა“ და „სინოფარმის“ გამოყენებისას, ასეთი პრეცედენტი არ დაფიქსირებულა. ჩემი აზრით, ვაქცინის გაკეთება ოჯახის ექიმთან გაცილებით უსაფრთხოა, რადგან კარგად იცნობენ თავის პაციენტებს და აქვთ ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის შესახებ. თუკი ეს საკითხი დარეგულირდება, ძალიან სწრაფად უზრუნველვყოფთ ვაქცინის დოზების შემოტანას. დაგეგმილია, მოიხსნას აცრისათვის ელექტრონულ პორტალზე წინასწარი დარეგისტრირება, რადგან ზოგიერთ სოფელში, ინტერნეტის შეფერხების გამო, მოსახლეობისთვის ეს პრობლემაა.

აცრა აუცილებელია და მინდა, მოსახლეობამ ეს გაითვალისწინოს. გავიხსენოთ 2008 წელი, როცა ქვეყანაში ,,წითელას“ ვაქცინაცია ჩავარდა. მიზეზი კი ტელევიზიით მასშტაბური დეზინფორმაციის გავრცელება იყო, რის გამოც, უმრავლესობამ აცრებზე უარი განაცხადა. ამის გამო 2019 წელს, როცა ქვეყანაში ,,წითელას“ დაავადებამ იფეთქა, ძალიან რთული რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. იყო გარდაცვლილთა მაღალი რიცხვი. იგივე შეცდომა რომ არ დავუშვათ, ვაქცინა უნდა გავიკეთოთ. მიუხედავად იმისა, რომ ღია სივრცეში პირბადის ტარება უკვე სავალდებულო აღარაა, ვფიქრობ, ეს სწორად უნდა იქნეს გაგებული. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, სადაც არ ხდება 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა, აუცილებელია პირბადის ტარება და პირადი ჰიგიენის დაცვა. ვირუსი წვეთოვანი გზით გადადის და პირბადის სწორად გამოყენება დაინფიცირებისაგან 95%-ით გვიცავს. ხარაგაულში პირბადის ტარების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გვქონდა და მოვუწოდებ მოქალაქეებს, ეს ტენდენცია შეინარჩუნონ. ვირუსი ჯერ არსად წასულა, სანამ მოსახლეობის 60% არ აიცრება, პანდემიას ვერ ჩავთვლით დამთავრებულად. სოციალური დისტანცია, პირბადის სწორად გამოყენება, პირადი ჰიგიენის დაცვა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისგან თავის არიდება, კვლავ აუცილებელ მოთხოვნად რჩება.“

მარიამ შარიქაძე

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის ახალი წარმომადგენელი დაინიშნა

ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად თამაზ ჭიპაშვილი დაინიშნა. აღნიშნული ადგილი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ყოფილმა წარმომადგენელმა თენგიზ ჭიპაშვილმა თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. აქვე მოგახსენებთ, რომ თენგიზ ჭიპაშვილი ამავე თემში წარმომადგენლის ასისტენტის რანგში განაგრძობს საქმიანობას. რაც შეეხება თამაზს, მისთვის აღნიშნული სფერო უცხო არაა, იგი წლების განმავლობაში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და გარკვეული წვლილი შეჰქონდა სოფლის წინსვლა-განვითარებაში. გაზრდილი უფლებამოსილების ფარგლებში, ის კვლავ აქტიურად ჩაერთო სოფლის პრობლემური საკითხების მოგვარებაში და მაქსიმალურად ცდილობს, ყველა გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს.

ბაზალეთის თემში სულ ოთხი სოფელი-ბაზალეთი, ქროლი, ღარიხევი და წიფი - შედის. რა არის აქ მცხოვრებთა ძირითადი საჭიროებები, რისი გაკეთება იგეგმება მიმდინარე წელს და როგორია მოსახლეობის სოციალური ფონი, ამასთან დაკავშირებით მერის წარმომადგენელს პირადად ვესაუბრეთ.

-წარმომადგენლის თანამდებობაზე დანიშვნის შემოთავაზება ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილისაგან, მივიღე, რაზეც დავთანხმდი. მუნიციპალიტეტს ჰყავს ძლიერი ხელმძღვანელი-მერი ბატონი კობა ლურსმანაშვილი და არაჩვეულებრივი გუნდი, რომლებთანაც მუშაობა ჩემთვის ახალი გამოწვევა და ამავდროულად საკმაოდ საპასუხისმგებლოა. გვაქვს ამბიცია, რომ ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, იყოს ერთ-ერთი გამორჩეული, განვითარებული და წარმატებული. მუშაობის ტემპი, რომელიც ვარლამ ჭიპაშ-

ვილის რწმუნებულობისა და დეპუტატობის პერიოდიდან მოდის, კვლავ აქტიურად გაგრძელდეს და მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები მოგვარდეს. არ შეიძლება, არ ვისაუბრო იმ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბაზალეთის თემში განხორციელდა. სწორედ ბატონი კობა ლურსმანაშვილის გამგებლობის პერიოდში, ძალიან ბევრი საქმე გაკეთდა, როგორც ბაზალეთში, ასევე სხვა სოფლებში და მჯერა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ. ხშირად გამიგია მოსახლეობის მხრიდან ხუმრობით ნათქვამი, რომ ბაზალეთი ევროპული დასახლების ტიპის სოფელიაო და მართლაც ასეა. სოფელში ცენტრალური გზები მოასფალტებულია, ბაზალეთი გაზიფიცირებულია, მოეწყო გარე განათების ქსელები, ნაწილობრივ მოგვარდა სასმელი წყლის პრობლემები, ეტაპობრივად ეწყობა შიდა საუბნო გზებიც.

მოგეხსენებათ, რომ უკვე დასრულდა ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზა, რომელზეც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 8 428 614 ლარი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, უშუალო ძალისხმევით, ხანდები-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზა მობეტონდა. ბაზალეთში ფუნქციონირებს სამედიცინო ამბულატორია, რომელიც მუშაობს სრული დატვირთვით და ადგილობრივებს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ემსახურება. გვაქვს ბიბლიოთეკა და საჯარო სკოლის ორი კორპუსი. ღარიხევში ადგილობრივი ხელისუფლების მონდომებითა და ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, სკოლის ახალი შენობა აიგო. მაშინ სოფლის დეპუტატი გახლდათ ვარლამ ჭიპაშვილი, რომლის უდიდესი წვლილია ამ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში.

-ბატონო თამაზ, როგორია ადგილობრივთა სოციალური მდგომარეობა?

-ადგილობრივთათვის ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობაა. ასევე მოსახლეობა დასაქმებულია საჯარო თუ კერძო სექტორში. უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს აქვთ სოციალური დახმარება. გარდა ამისა, ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოქალაქეები სარგებლობენ არაერთი სოციალური პაკეტით.

მომართვიანობა ძირითადად ერთჯერად ფინანსურ დახმარებებზე, მედიკამენტებზე, საოპერაციო და სამედიცინო კვლევის ხარჯებზეა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთი განცხადება უყურადღებოდ არ რჩება და მოთხოვნათა უმრავლესობა კმაყოფილდება.

-მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში რომელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება?

-წლის დასაწყისში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობასთან შეხვედრები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად. ადგილობრივებმა პრიორიტეტები თავად შეარჩიეს. სამუშაოებზე ხელშეკრულებები უკვე გაფორმებულია, მეწარმეები აქტიურად ახორციელებენ აღებულ ვალდებულებებს. ბაზალეთის თემში წელს გარე განათების სისტემები მოეწყობა, რომლისთვისაც 42 ათასი ლარი დაიხარჯება,ასევე შეკეთდება სოფელ წიფის გზა.

-ბატონო თამაზ გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე, რომელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით?

-რეგიონული განვითარებისფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს ჭიპაშვილების საუბნო გზის სამშენებლო სამუშაოები, რისთვისაც 345 504 ლარი დაიხარჯება, გარდა ამისა, აქტიურად ხორციელდება ნანიტაშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის დაგება, რომლის ღირებულება 244 622 ლარია. დასრულდა სოფელ ღარიხევში თხელიურის საუბნო გზის რეაბილიტაცია. მინდა აღვნიშნო, რომ 2022 წელს დაგეგმილია ღარიხევში, წიფსა და ქროლში ბუნებრივი აირის შეყვანა, ამ საკითხზე ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა პაატა კვიჟინაძემ აქტიურად იმუშავეს.

და ბოლოს, ნდობისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ კობა ლურსმანაშვილს, ასევე, დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ ვარლამ ჭიპაშვილისგან, რომელსაც ძალიან უყვარს ჩვენი სოფლები და მოსახლეობა. მერი და მისი გუნდი 24 საათის განმავლობაში იბრძვიან და დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ, რაც შეიძლება, ბევრი კარგი გაკეთდეს ხარაგაულისათვის. მე კი, ჩემი მხრიდან, მაქსიმალურად შევეცდები, უფლებამოსილების ფარგლებში, ჩემზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შევასრულო.

თამარ მაღრაძე

სპექტაკლ „იმერული რეკვიემის“ პრემიერა შედგა

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა ახალი სპექტაკლი ,,იმერული რეკვიემი“ დადგა. სპექტაკლის პრემიერა ხარაგაულის კინოთეატრში რეგულაციების სრული დაცვით მოეწყო, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, პიესის ავტორი რეზო კლდიაშვილი და თეატრის მოღვაწეთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან როხვაძე ესწრებოდნენ.

თეატრმა დიდი სიხარული განაცდევინა თავის ერთგულ მაყურებელს, მსახიობები პროფესიული ოსტატობით გამოირჩეოდნენ და მოწონებაც დაიმსახურეს. ნიჭიერი რეჟისორი ირინე ჩხეიძე დიდი რუდუნებით მუშაობდა თეატრალურ დასთან, რომ მაქსიმალურად დაეხვეწათ როლების შემსრულებლებს თვით უმცირესი ნიუანსებიც კი. სწორედ ამის შედეგი იყო ის შეფასება, რომელიც დამსწრე აუდიტორიამ სპექტაკლის დასრულების შემდეგ გააკეთა.

,,დღევანდელმა სპექტაკლმა შოკში ჩამაგდო. პიესა რვა წელია, სრული ანშლაგით იმართება ახმეტელის თეატრში და არ მოველოდი, თუ ამ დონეზე გაითავისებდნენ ხარაგაულის სახალხო თეატრის მსახიობები. ცრემლები წამომივიდა, გაოგნებული ვარ, ეს რა დასია და როგორი ნიჭიერი მსახიობებია. ვფიქრობ, ყველამ ერთად უნდა ვიამაყოთ ხარაგაულის თეატრით. მთელი ჩემი ცხოვრება მოვდიოდი ხარაგაულში და ვერ მოვაღწიე და აი, ამ სიბერეში ჩამოვედი, თურმე ამ დღეს უნდა მოვსულიყავი.“- აღნიშნა პიესის ავტორმა რეზო კლდიაშვილმა.

ბ-ნმა რეზომ, რომელიც გახლავთ ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო აკადემიის წევრი, უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეზე ხარაგაულის თეატრი მიიწვია. იუბილე შემოდგომაზე გაიმართება და დასი ,,იმერული რეკვიემით“ წარდგება.

მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მადლობა გადაუხადა ხარაგაულის თეატრალურ დასს და შემდგომში წარმატებები უსურვა. ,,ვფიქრობ, ის ნიჭიერება, რომელიც ხარაგაულს აქვს, დღეს სრულად გამოვლინდა. მინდა, წარმატებები ვუსურვო დასის თითოეულ წევრს. ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, მაქსიმალურად გვერდით დაუდგეს თეატრს, რომელსაც 120 წლის ისტორია აქვს. მიხარია, რომ მუნიციპალიტეტში დიდი კულტურული ტრადიციები გრძელდება“, -აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარე იუზა (ვალოდა) კელენჯერიძემ. ,,საოცარი დღე იყო. ყველამ დიდი სიამოვნება განიცადა, რაც ქალბატონი ირინე ჩხეიძისა და მთლიანად დასის დამსახურებაა. წარმატებებს ვუსურვებ 120-წლიან სახალხო თეატრს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და საზოგადოებას, რომელმაც უზრუნველყო დღევანდელი დღის მაღალ დონეზე ორგანიზება.“

როგორც ჩვენთან საუბარში სპექტაკლის რეჟისორი ირინე ჩხეიძე განმარტავს, -,,მთავარი იდეა პიესის არჩევის დროს იყო ის, რომლის გარშემოც არიან გაერთიანებული ,,იმერული რეკვიემის“ გმირები. ისინი მშვიდ ცხოვრებას და თავისუფლებას ეძებენ. ეძებენ ნავსაყუდელს, რომელიც, საუბედუროდ, წინწკილაა. დასის თითოეულმა წევრმა ზუსტად შეძლო როლის გათავისება. ამას მოწმობს თავად პიესის ავტორის დამოკიდებულება, მაყურებლების განწყობა, აპლოდისმენტები და მადლობის ნერილები. ვფიქრობ, პიესის მთავარი აზრი მაყურებლამდე ზუსტად მივიტანეთ.“-დასძენს რეჟისორი.

ხარაგაულში საპრემიერო ჩვენების შემდეგ, თეატრმა ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე, რომელსაც ქალაქი ქუთაისი უკვე მეთორმეტედ მასპინძლობდა. ,,იმერული რეკვიემით“ აღფრთოვანებულმა მაყურებლებმა მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს ხარაგაულის თეატრის ნიჭიერი მსახიობები.

ქუთაისში გამართულ სპექტაკლს ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდა, რომელსაც თეატრის მოღვაწეთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ლევან როხვაძემ და ხელოვნებათმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა მადლობა გადაუხადეს თეატრის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისთვის და საჩუქრად ღვთისმშობლის ხატი გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ სპექტაკლი ,, იმერული რეკვიემი“ ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბინადრებზეა. 90-იან წლებში, როდესაც საავადმყოფო დაიხურა, ეს ადამიანები გარეთ, თავშესაფრის გარეშე, დარჩნენ. გადარჩენისთვის ყველამ სხვადასხვა გზა აირჩია.

რაც შეეხება როლებს, შურა ექთნის როლი ირინე ჩხეიძემ მოირგო, კაბირიასი-ლია ჭიპაშვილმა; პისტის - მაია ბერაძემ; ვალოდიასი-ვასილ კიკნაძემ; გულთმისანს დავით ჭყოიძე ანსახიერებდა; როსტომს-ბათუ კიკნაძე; ტატიანას-ლუიზა კიკნაძე; კლავდიას-ირმა სხილაძე; სამუელას-ბექა ხიჯაკაძე.

სპექტაკლის მუსიკალურ მხარეზე ელექტრონული მუსიკის კომპოზიტორმა ანუშკა ჩხეიძემ იზრუნა, მხატვრული გამფორმებელი კი გაიოზ შუბითიძე გახლდათ.

მარიამ შარიქაძე

გედსამანიაში გზის რეაბილიტაცია დაიწყო

მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძისა და ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ერთობლივი ძალისხმევით, მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მქონე სოფელ გედსამანიაში მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო.

სოფელში ბეტონის საფარი გზის 1 350- მეტრიან მონაკვეთზე მოეწყობა, რომელიც მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. პროექტი გარდამავალია და მისი ღირებულება, საერთო ჯამში, 487 000 ლარია.

ბეტონის საფარი აღნიშნულ მონაკვეთზე არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივებს გადაადგილების სერიოზულ პრობლემას უქმნიდა. ამჯერად კეთილმოწყობილი გზა სოფელში არსებულ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრამდე მივა. რაც შეეხება ცენტრალურ გზას, მისი რეაბილიტაცია 2016 წელს განხორციელდა.

ხარაგაულის ემჩიკ ემჩოკავშიჩის საბჩანტო კონკუჩსში ფიდლეს ფონაწილეობას

28 ივნისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე „2020-2021 წ.წ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ საგრანტო კონკურსში წარსადგენი იდეები განიხილეს. საკითხი ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პეტრე შარიქაძემ წარმოადგინა.

აღნიშნული იდეებია: სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის რენოვაცია; დაბა ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია; დევისხვრელის ისტორიული ძეგლისა და ხანდებში „ცაშეკრულას“ კანიონზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ხარაგაულში მდებარე დევების ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია.

აღნიშნულ საკითხზე დეპუტატებისგან დამატებითი შეკითხვები არ ყოფილა. საკრებულოს წევრებმა პროექტის იდეები ერთხმად მოიწონეს, თუმცა კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ პროექტების ჩამონათვალს ჩხერის ციხის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია დაემატება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროექტში სულ 12 მუნიციპალიტეტი იღებს მონაწილეობას, მათ შორის არის ხარაგაული. გამარჯვებული მუნიციპალიტეტიდან შეირჩევა ერთი იდეა, რომლის განხორციელებასაც „2020-2021 წ.წ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“ (სრიგპ) დააფინანსებს.

მარიამ შარიქაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲤᲐᲠᲪᲮᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინა ვეფხვაძემ და სპმთპ-ის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლალი სებისკვერაძემ სოფელ ფარცხნალში მცხოვრები სკოლის მოამაგეები - 96 წლის ბატონი იური ბუაჩიძე და ქალბატონი იზა ბუაჩიძე - მოინახულეს.

ბატონი იური სხვადასხვა დროს ხარაგაულში ოთხი სკოლის დირექტორი იყო, ის არის ამავდროულად დიდი სამამულო ომის ვეტერანი.

ქალბატონ იზა ბუაჩიძეს ახლახან 80 წელი შეუსრულდა. მისი მთავარი საფიქრალი ფარცხნალის სკოლაა. ყოველ დილით სკოლაში შედის, კედლებს ეფერება და უფრთხილდება იმ ორ ბავშვს, რომლებიც ამავე სკოლაში სწავლობენ. მადლიერია საოცრად მზრუნველი დირექტორის, მარინე ხვედელიძისა, რომელიც, თავის მხრივ, ყურადღებას არ აკლებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

რესურსცენტრის უფროსმა დამსახურებულ პედაგოგებს გაწეული საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ ისაუბრა იმ უდიდეს ღვაწლზე, რომელიც წლების განმავლობაში მათ მიერ მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაში იდებოდა.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲮᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ „ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘᲡ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐᲗ

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, ხარაგაულის სახალხო თეატრის ღვაწლმოსილი წევრები: როლანდ ხიჯაკაძე, ლუიზა კიკნაძე, ნიკო წიკლაური, ნიკოლოზ დეკანოსიძე, გაიოზ შუბითიძე და ვასილ კიკნაძე „ამაგდარის“ საპატიო წოდებით დაჯილდოვდნენ. ცერემონია იმერეთის თეატრალური ფესტივალის გახსნის დღეს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

„ძალიან სასიხარულოა, რომ ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ღირსეულ საქმეს ემსახურებიან, სათანადოდ დაფასდნენ. ალბათ მათ გარეშე ხარაგაულის თეატრი ვერ იფუნქციონირებდა. ბევრი მოგონება, სიხარული და ნარმატება გვაკავშირებს ერთმანეთთან. ვამაყობ, მიყვარს და მეიმედება თითოეული მათგანი“. -აღნიშნავს რეჟისორი ირინე ჩხეიძე.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის სახალხო თეატრს 120 წლის ისტორია აქვს.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲘ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

23 ივნისს, მსოფლიო ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში მოყვარულთა შორის მიზანში სროლაში შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ორმოცამდე პირმა მიიღო.

ბავშვებში პირველი ადგილი ზურაბ კაკულიამ აიღო, მეორე - მათე ჩიგავამ, მესამე კიმირიან გოგოლაძემ.

კაცებში შეჯიბრი ორ ეტაპად ჩატარდა და მაქსიმალური ქულებით პირველ ადგილზე იური გიორგაძე გავიდა, მეორეზე- ნუგზარ გაგოშიძე, მესამეზე - ირაკლი კიკნაძე.

გოგონებში პირველი ადგილი მანანა ბაბლიძემ დაიკავა, მეორე -მარიამ შარიქაძემ, მესამე ადგილი ლიკა ხიჯაკაძეს ხვდა წილად.

გამარჯვებულებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანამშრომლებმა გადასცეს.

მარიამ შარიქაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲓ�გᲔᲜᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული გზის საყრდენი კედლის აღდგენის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. აღნიშნულის რეაბილიტაციისთვის სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან 439 ათასი ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ფირმა იმედი“ აწარმოებს.

აქვე გეტყვით, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს სოფელ ბორითსა და ლეღვანში, სადაც გზებისა და ხიდების კუთხით რიგი პრობლემები იყო.

სოფელ ლეღვანში, კიკაბოურის უბანში, ხიდი შენდება, რომლის სიგრძე 24 მ, ხოლო სიგანე 4,5 მეტრი იქნება. ხიდზე ტროტუარიც მოეწყობა. პროექტის ღირებულება 349 ათასი ლარია. ასევე, ლეღვანში დაზიანებული გზის გასწვრივ, საყრდენი კედელი აშენდება, რომელიც 147 445 ლარით დაფინანსდა.

ბორითში, ალედი ბარბაქაძის უბანში, დასრულდა სანიაღვრე არხის მოწყობა. მილხიდი



გაკეთდა კვესრევსა და მაქათუბანში. ასევე კვესრევში სავანის უბანში, ორი ხიდბოგირი აიგო.

შეგახსენებთ, რომ სტიქიის ფონდიდან ხარაგაულის მიმდინარე წელს 1 200 000 ლარი გამოეყო.

ᲡᲐᲦᲐᲜᲫᲘᲚᲔᲨᲘ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲛᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

29 ივნისს საღანძილეში ახლად გახსნილ საბავშვო ბაღს თოჯინების თეატრი (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) ესტუმრა და პატარებს მათი საყვარელი სპექტაკლი ,,სამი გოჭის თავგადასავალი“ უჩვენა.

სპექტაკლი ღია ცის ქვეშ, რეგულაციების სრული დაცვით წარიმართა და აღსაზრდელები დიდი სიხარულით შეხვდნენ მონატრებულ გმირებს. -,,მომავალში კვლავ გავაგრძელებთ სპექტაკლების ჩვენებას და მთელი ზაფხულის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გავალთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დასი ახალ სპექტაკლზე მუშაობას იწყებს, რომელიც გივი ჭიჭინაძის ,,იისფერას“ სცენარის მიხედვით დაიდგმება. “-აღნიშნავს ირინე ჩხეიძე.

აქვე შეგახსენებთ, რომ თოჯინების თეატრმა გასულ წელს, კოვიდრეგულაციების სრული დაცვით, ხუთი სპექტაკლი ჩაატარა, როგორც სოფლებში, ისე დაბაში. თოჯინების თეატრის სპექტაკლები, პატარა მაყურებლებთან ერთად, დიდებისთვისაც საყვარელი ღონისძიებაა.

მარიამ შარიქაძე

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ სპორტული ღონისძიებები მიმდინარეობს. ამჯერად ღია პირველობა ჩატარდა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობას სულ ხუთი გუნდი იღებდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც სიმბოლური საჩუქრები ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორმა გრიგოლ ჭიპაშვილმა გადასცა. დამსახურებული პირველი ადგილის მფლობელი საღანძილის გუნდი გახდა, მეორეზე კი დაბა გავიდა.

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ �კᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ �გᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

28 ივნისს საკრებულოში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართა. კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძემ კოლეგებს დღის წესრიგით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი წარუდგინა. ერთ - ერთი გახლდათ ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გოგიტა ჩიჩილიძემ, განმარტა, უფასო სასადილო 105 ბენეფიციარს ემსახურება, მათ შორის, კვირაში ორჯერ მზა საკვები ადგილზე ეგზავნება 30 ადამიანს. ასევე, მიმდინარე წელს საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია უკიდურესად გაჭირვებულ რამდენიმე ოჯახს.

ამავე დღეს დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაცია „ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის“ განყოფილების ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. განყოფილების უფროსმა თეა ბერიძემ დეტალურად ისაუბრა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც თანამშრომლებს დებულებით განესაზღვრათ. აქვე განმარტა, რომ კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად ხდება მონიტორინგი ოჯახებსა თუ დაწესებულებებში, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ბავშთა უფლებების დარღვევას.

ჯანდაცვის სხდომაზე მოწვეული იყო ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელმაც აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა. მაია გაგოშიძის განმარტებით, ბორის სკოლა - პანსიონში სულ 142 მოსწავლე ირიცხება, აქედან 17 იღებს პანსიონურ მომსახურებას. „ბორის სკოლა-პანსიონისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები სრულად ხმარდება მომსახურე პირთა ხელფასს. სხვა საჭირო ვალდებულებების განხორციელებაში გვეხმარებიან არასამთავრობო ორგანიზაციები. აქვე გეტყვით, რომ სკოლის ყველა მოსწავლეს უფინანსდება უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასური,“- აღნიშნავს მაია გაგოშიძე.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს და სამსახურის წარმომადგენლებს რიგ საკითხებზე რეკომენდაციები მისცეს.

თამარ მაღრაძე

2020-2021 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲔᲠᲗᲗ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა, „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცემათ. აქედან ოცი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალოსანია.

გთავაზობთ მოსწავლეთა ჩამონათვალს:

დაბის N 3 საჯარო სკოლა - ანა მაისურაძე, ანი მეიფარიანი, ანა კვინიკაძე, ვაჟა მაღრაძე (ოქროს მედალი);

დაბის N 2 საჯარო სკოლა - გიორგი სებისკვერაძე (ოქროს მედალი), გრიგოლ ხიჯაკაძე (ვერცხლის მედალი);

სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა - ნინო გოგოლაძე, ანი ბლიაძე, გოჩა ლომიძე, ინოლა ღონღაძე (ოქროს მედალი);

სადგურ მარელისის საჯარო სკოლა - ნონა ყიფიანი (ოქროს მედალი);

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია - საბა ებანოიძე, ნინო მიქაბერიძე, ბაქარ ორბელაძე, თეო გოლუბიანი, მარიამ მანჯავიძე (ოქროს მედალი);

სოფელ ვარძიის საჯარო სკოლა - მარიამ ხიჯაკაძე, თათია ხიჯაკაძე, მარიამ ნიქაბაძე (ოქროს მედალი);

სოფელ ბორითის საჯარო სკოლა - ბერიკა მაჩაიძე(ოქროს მედალი);

წმინდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სახელობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშის საჯარო სკოლა - საღომე კვირიკაშვილი (ოქროს მედალი).

შეგახსენებთ, რომ მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10, დამრგვალების გარეშე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლეს, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, გადაეცემა სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატი.

თამარ მაღრაძე

ᲖᲕᲐᲠᲔᲨᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში გზის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ღირებულება 640 ათას ლარს შეადგენს და ბეტონის საფარი 1 500- მეტრიან მონაკვეთზე დაიგება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ალპედე“ ასრულებს.

ამ ეტაპზე ზვარეში გზის მოსწორება-მოხრეშვა მიმდინარეობს და შემდეგ კი ბეტონის საფარი დაიგება.

პროექტი მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილისა, და მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძის, აქტიური მუშაობით, აღნიშნული ფონდიდან ყველაზე დიდი დაფინანსება, 650 ათასი ლარი, ხარაგაულმა მიიღო.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ: 595-51-98-12